**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

25/03/2025

MES 4 25 0000331474

გადაწყვეტილება

„შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

გადაწყვიტა:

1. „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529102 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (ს/კ: 201951637) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 7 400-ით, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2200-ით, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განესაზღვროს - 800-ით.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 ნოემბრის №1529039 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მეორე შესახვევი, №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ